



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 149
2022 წლის 4 აგვისტო
ქ. თბილისი

სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო ენის დაცვისა და ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 16 ივნისის N74/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2022 წლის 4 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათის (N872716) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2022 წლის სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2 -ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. პროექტის ბიუჯეტის ფორმა და ბიუჯეტის ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტი, ქეთევან გორგაძე და მთავარი სპეციალისტი, თამარ ბოკუჩავა;
13. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
14. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ჯაბა სამუშია

